

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ქანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება ქანტორაში. ზარზე მცხოვრებთათვის: В. Губин. В. редакцию газ. „Дროна“.

გაზეთის ღირსი: შთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ. დღის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორგაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს რაზრათი

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

უანი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცოცროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

ხელის-მოწერა: შთელისში, რედაქციის ქანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: В. Губин. В. редакцию газеты „Дროна“.

გაზეთის ღირსი: შთელის წლისა—8 მან., ნახევარის წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

პირველი აპრილიდან პირველ ივლისამდინ გაზეთი ღირს—2 მან. და 50 კაპ. წლის დამლევამდინ—6 მანეთი.

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისა, თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში გამოგზავნილი.

მეორე სესხის	—	—	225
ბანკის ბილეთები:			
პირველი გამოცემის	—	96	40
მეორესი	—	95	84
მესამესი	—	95	25
მეოთხესი	—	95	25
აღმოსავლეთის	—	93	40
ოქრო, 1/2 იმპერიალი	—	8	38

სამართლმცოდნეობა

იმერეთის სახალხო მოძრაობა

„სახალხო განათლების საქმე ჩვენში ცუდად მიდის“—ერთობ ხშირად გვწერენ ამ უკანასკნელ დროს იმერეთიდან იმისთანა სიტყვებს.

„სასოფლო შკოლებში შაგირდები აღარ ღიარებდნენ; ხალხმა ერთობ გულგრილად დაუწყო ამ საქმეს ყურებაო!“

„ზოგან უნდა, ცარიელი შკოლები დაკეტონ და გაითავისუფლონ თავი მასწავლებლის ჯამაგირისათვის ტყუილ-უბრალო ხარჯისაგან, მაგრამ მამასახლისები და მასწავლებლები ისეთ ნაირად ახერხებენ საქმეს, რომ შკოლას არ ახერხებენ და ხალხს ხარჯი ხდებოა!“ და სხვ. და სხვ.

მა გარემოება, უქვეყნოა, გასაკვირველად დარჩება იმ პირთათვის, რომელთაც იციან—თუ ამ ათი წლის წინათ როგორის ხალხით მოჰქცადა ხელი იმერეთის სოფლის ხალხმა განათლების საქმეს და როგორის სიამოვნებით მზათ იყოს, რომ უკანასკნელი კაპიკი დაეხარჯა, რომ ახლად გასახსნელ შკოლისათვის ხელი მოეძარბა და ხეირიანი მასწავლებელი დაეჭირა. მა გარემოება გასაკვირველია აგრეთვე ყველა იმათთვის, ვინც იცის იმერეთის ხალხის ცნობას-მოყვარება, იმათი მხურვალე სურვილი, რომ რამე ისწავლონ, ქვეყნიერება გაიწონ, თვალები აიხილონ და სხვ. და სხვ.

თუ ეს ასეა, მაშ რას უნდა მივაწეროთ ეს ახლანდელი გულ-გრილობა იმერელებისა თავის შკოლისადმი? რისგან არის, რომ ახლა ისინი ცდილობენ დაკეტონ თავიანთი შკოლები და შეილებს თითქმის სრულიად აღარ აგზავნიან ამ შკოლებში?

მიზეზი ამისა სულ უბრალოა, უკუნურისთვისაც კი აღვიოლად გასაგებია: ხალხი ვერ ჰხედავს ამ თავის შკოლაში იმ სარგებლობას, რომელსაც მოელოდა; ის ჰხედავს, რომ ფულები ეხარჯება და ნაყოფი კი არა არის-რა; ერ-

თის სიტყვით, ჰხედავს, რომ იმათი შეილები ცდებოდნენ შინაურულ მუშაობასა და შკოლაში კი ვერას სწავლობენ.

ახლა ამ მიზეზის: მიზეზიც უნდა შევიტყუოთ: რატომ ესე გამოუდევარნი შეიქნენ ხალხისათვის იმერეთის შკოლები? პირველად უნდა ვთქვათ, რომ ყველგან ესე ცუდად კი არ მიდის მუშაობის დუბერნიში სახალხო განათლების საქმე და ყველგან კი არ ცდილობს მართლად ხალხი, რომ ერთხელევე გახსნილი შკოლები დახუროს. არის ისეთი შკოლები (ბურიაში, სამეგრელოში და თვით იმერეთშიაც), სადაც ხალხმა ძველებურის თანაგრძობით შესწერებია თავის შკოლებსა და არაფერს არ ზოგავს ამათვის. მაგრამ ბევრგან კი სოფლის ხალხი ისე ეყურება შკოლას, როგორც შევიტყუოთ მოგახსენებ.

იმერეთის ხალხს ახლაც ისეთი მხურვალე სურვილი აქვს სწავლისა, როგორც ამ ათი წლის წინათ ჰქონდა. ახლაც ისეთი სავე გულით უნდა იმას, რომ წერა-კითხვა მაინც ასწავლოს თავის შვილებს, როგორც ადრე.

მაგრამ რა უნდა ჰქმნას, როდესაც ნათლად ჰხედავს, რომ შკოლა თავის მოვალეობას ვერ ასრულებს, როდესაც ეს შკოლა მხოლოდ ბევრ ფულს სთხოვს იმას და მაგიერად სარგებლობას კი არავითარს არ აძლევს?

ამას წინათაც ვთქვით და ახლაც ვამბობთ: სანამ შკოლებში ცოტათი მაინც უფრო ხეირიანი, თავის საქმეში დახელოვნებული და პატიოსანი მასწავლებლები არ იქნებიან, სანამ ამ შკოლებში ქართულის სწავლასა და ქართულს ენაზედ სხვა ყველა საშკოლო საკნების სწავლას არ ექნება ჯეროვანი ყურადღება მიქცეული, მანამ ხალხი ყოველთვის გულ-გრილად დარჩებნ თავის შკოლების ბედისთვის და არ ეცდება ხეირი მოუშართოს იმას.

საჭიროა, რომ ხალხმა თავის თვალთ ნახოს შკოლებისაგან რამე სარგებლობა. საჭიროა, რომ შკოლაში ნასწავლო შეიღმა უკეთესი შეიღობა გაუწიოს იმას, ვინემ უსწავლელმა. საჭიროა, რომ ეს შკოლაში ნასწავლი შეიღო თავისი რჯაი ხობაში, შინაურებაში გამოადგეს იმას, ხალხი თავის შეიღისაგან პიჩ-და-პირსარგებლის მოტანას მოეღოს იმ ხარჯიდან, რომელიც შეიღის გაზრდაში გასწია. სანამ ეს ასე არ იქნება, მანამ არავის არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ხალხი გულგრილად უყურებს სოფლის შკოლას.

ს. მ.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი.)

სტამბოლი, 4 (16) აპრილს. ინგლის-მა და საბერძნეთმა ერთად მოქმედების პირობა და კავშირი შეკრეს. პირეში აგროვებენ სხვა-და-სხვა სამხედრო მასალებს. ინგლისი რამდენსამე ახალ ჯაშენიან ხოძალდს მოეღოს კიდევ.

მენა, 4 (16) აპრილს. „Pol. Corresp.“-ში დაბეჭდილია შემდეგი გაგონილი ამბავი: იაგლისის მმართველობამ სთხოვა შვეციას, მიტყეს იმას ნება-რთვა, რომ ბალტიის ზღვის კუნძულზე—ჰაროზე დაწყოს და შეინახოს ბრიტანიის არმიისათვის საჭირო სხვა-და-სხვა სამხედრო მასალები.

ლონდონი, 4 (16) აპრილს. საზოგადოებათა პალატამ 26-ს მაისამდინ გადადვა თავის სხდომები.

პეტერბურგის ბირჟა, 5 აპრილს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი.)

ლონდონი	—	233	1/2
ამსტერდამი	—	118	”
ჰამბურგი	—	199—50	”
პარიჟი	—	245—50	”
შინაგანი სესხის ბილეთები 5%:			
პირველი სესხის	—	228	25

დღიური

* * ამ უკანასკნელი დღეების წვიმიანობამ ბევრ სახლის პატრონს, განსაკუთრებით მიწური სახლებისას, დიდი ზარალი მისცა; ზოგან კედლები დაუნგრია, ზოგან ქუჩები, ბანი ჩამოწვა და სხვ. ჰავლაბარში და ხარფუხში რამდენიმე მიწური სახლი, იძახიან, სრულიად დაინგრა.

მაგრამ თფილისის ახლო-მახლო სოფლებიდან მოსული ხალხი ძალიან კმაყოფილია, რადგან წვიმას აუმწვანებია ყანები და ხეხილები.

* * * თან-და-თან ძვირდება ჩვენს ქალაქში ყოველგვარი ხორავი: გირვანქა ძროხის ხორცი, რომელიც ამ ორი კვირის წინათ 8-9 კაპეკად იყიდებოდა, ახლა 12 კაპეკად გახდა; ბროცკის შაქარმა ისევ 8 მან. და ორ აბაზამდინ აიწია; ფქვილი მანჯისა ცხრა აბაზია, წითელი მანეთ ნახევარ ნაკლებ აღარ ისყიდება.

ახლავე ასეა, და რაღა იქნება მაშინ, ვინიცობაა ინგლისსა და რუსეთს შუა რომ ბრძოლა ატყდეს!

* * ჩვენ შევიტყუეთ, რომ იმ ალაგას, საცა მომავალი ახალი თეატრი უნდა გაშენდეს თფილისისათვის, ღუქნებს აცლევინებენო, და ამბობენ, რომ ამ თვის დამლევს შეუდგებიან ხსენებული ღუქნების დაქვევას და თეატრის ასაშენებლად ალაგია მომზადებისაო.

* * ამ ორი დღის წინათ ქუჩაში ერთი სომხის ეკკლესია გაუქურდავთ; იძახიან, რომ ქურდებს ბევრი რამ გაუტანიათ ამ ეკკლესიიდანაო.

* * ამ უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში სამჯერ გაჩნდა ცეცხლი ჩვენს ქალაქში, მაგრამ ისე ბედნიერად, რომ არც ერთჯერ სახლის პატრონებს შესამჩნევი ზიანი არ მისცემიათ.

* * მუთაისიდან გვწერდნენ, რომ მთელი ქვეყნის ყურადღება ამჟამად ასენიზაციასზე, დეზინფექციასზე, ანუ უბრალო, ქრისტიანულს ენით რომ ვსთქვათ, ქალაქების გასუფთავებაზედ არის მიქცეული; ყველგან ცდილობდნენ, რომ ააცილონ ხალხს თავიდან ავთამყოფობა, რომელიც ამ ომმა გვიანდერძაო და სხვ. შევლამ ქალაქებში მხოლოდ ჩვენი საბრალო მუთაისი შეიქნა გამოსწვრილი; ჩვენი ქუჩებისა და ვუჩების გასუფთავებაზედ კაცი არას ფიქრობსო.

ჩვენი კორესპონდენტი მიაქცევს განსაკუთრებულს ყურადღებას ურიების უბანს, რომელიც ქალაქის თავშია და რომლიდანაც ყოველ გვარი სიბინძურე და ნაგავი ჩაონს პირ-და-პირ ქალაქში მოაქვსო.

იმედია, უფ. მუთაისის ლუბერნატორი მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას დ. მ. ძავეასის ნამესტნიკის განკარგულებას, ამ საგნის შესახებ, და ამას გარდა წაბაძავს უფ. თფილისის ლუბერნატორს, რომელმაც, როგორც „დროების“ წინანდელ ნომერში იყო მოხსენებული, ახალ თუ თფილისის გასუფთავებაზედ დაიწყო

ზრუნვა, არამედ უფლისა ქალაქებში და სოფლებშიაც კი არდგენს სანიტარულ კომიტეტებსა...

* * ჩვენ გვითხრეს, რომ მთა-წმინდაში არის კარგა ხანია ერთი პირველ-დწყებითი სახალხო შკოლა, რომელშიაც თუქცა მომეტებული ნაწილა შაქარდები ქართველები არიან თურჲე, მაგრამ ქართულს ენას კი არ აწავლობანო.

აქვე საჭიროთ ვრაცხთ ვიქვით შემდეგი:

მომეტებული ნაწილი თფილისის სახალხო შკოლებისა და პანსიონებისა სულ სომხებისაგან არის გამართული და ისინი განაგებენ; მაგრამ როგორც ვიცით, ერთ-ორ შკოლასა და პანსიონს გარდა, ქართულ ენას არაად ასწავლიან.

ნუ თუ პატივცემულ სომხის პედაგოგებს ის უბრალო ქვეპირიტუბა ვერ გაუგიათ, რომ საქართველოში მცხოვრებ სომხებს, სხვაში თუ არა, ვაჭრობაში მაინც დასჭირდებათ ქართული ენა? მაშ რად არ ასწავლიან?..

* * ჩვენ გვწერენ სიღნაღიდან:

„სიღნაღის უფხუში არის ადგილი შირაქათ წოდებული, საცა გამოდის ნავთი, რომელიც ადებული აქვს ნემეცს სიმონსს; ამ უხალს ჰყავს ამ ნავთებზედ დაყენებული გამებლათ ნემეცივე, სახელად ბაზანი და ორიც სხვა ნემეცი, რომელნიც ცხოვრებენ იმ ადგილს, საცა არის ნავთები, და ვადრე ორმოცა მოჯამაგირენი ქართველი ჩვენი უფხისა.

„წარსულს 1877 წელს სექტემბრის 28-ს ერთი სიღნაღელი წყალობ ბაღიას ძე იარალოვი და მეორე თათარი იყენენ სიღნაღიდან წასულნი პირუტყვის სასყიდლათ კარგის ცხენებით და იარაღით, რასაკვირველია თულისთა: მარტო იარალოვს ნაღდი წაეღო 480 მანეთა.

„ამათ მგზავრათ გამოიარეს იმ ადგილს, საცა ნავთია. მართა ნემეცსა ნახა თურჲე ეს ორი ცხენოსანი კაცი, მაშინვე გაგზავნა ქართველი მუშები, აქ მოიყვანეთო. მოვიდნენ თუ არა, ბილეთები მოსთხოვა და მათ უწვენეს და ამოიკითხა ვინაობა მათი; მერე უბრძანა: შირაქის პრიატავს იარალოვს უნდა გამოეცხადათო. იარაღი ააყრევინა და კლავები მაგრა შაუქრეს.

„მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ესენი პრიატავთან კი არ გაუზავნია, არამედ წაუყვანია ისე საბლოთ შაკრულები და ერთმანეთზედ გადაბმულები ერთ ღრმა ყრუ ორმოკთან, რომელიც ნავთის გამოაჩენად ყოფილა მოთხრილი და რომელსაც სიღრმე ჰქონია 18 არშინი. მიიყვანეს თუ არა ორმოკს პირთან, ჰკრა თურჲე ხელი ნემეცსა და ეს კლავებ-შეკრულები შიგ ჩაყარა და ზედ ორ ლულიანი თოფი ტყვიით გატენილი ჩაახალა; ამბობენ, ორთავეს მოხვდათ თავებში და დაიხოცნენ ასე ტანჯვით.

„ამ უღმერთობებმა ესეც არ აკმარეს: მაშინვე ჩავიდა ერთი ქართველთაგანი და გაცარცვა ეს უბედურები: ვერცხლის ქამრები, ფული, თუ რაც ებადათ. მერე უბრძანა თურჲე ნემეცსა, ცხენებიც და-

ხოცეთ ამ კაცებისა და ამავე ორმოკში ჩაყარეთო. მაშინვე შესწრულეს მუშები; კვალად ხმელი კაქქე ტუქრეფეს და ამ ორმოკში ზედ დაყარეს, მერე მიწა მიუშვეს და შემდგომ ვიდრე ორმოცი ვედრა ნავთი დაასხმევინა ზელა...

„ეს მომხდარი უღმერთობა და სიბინდის გარეთ მოქმედება მეორეს დღეს გაიგო ბაზინმა, მაგრამ შეიღ თვეს დაჰყარა; ამათი პატრონები კი ეძებდნენ სხვა და სხვა ადგილებში.

„ეს რამდენიმე დღეა ერთმა მუშათაგანმა გასხნა ამ რიგათ: ეს მუშა კოთხულობდა სიღნაღის სასამართლოს გამოამძიებელს ხარკოვს, საიდუმლო საქმე უნდა მოეხსენებოდა; რადგან უფ. ხარკოვი თფილისში იყო, იმას მოელოდა რამდენიმე დღე და შემდეგ წარმოსთქვა—რომელ ადგილსაც დახოცეს იარალოვი და თათარი, იმ ადგილზედ დაეყენებ პატრონებსაო.

„რადგან გაიგეს, რომ დაფარვა აღარ შეიძობოდა, დაიწყეს საქმე; მაგრამ რა საკვირველია მთავრობა დიდ ყურადღებას მიაქციოს, ესრეთის ტანჯვით დახოცისათვის, და ვინც იცოდნენ ეს საქმე და არ გაადიდეს, ესენიც შევლენ პასუხის გებაში რასაკვირველია, ეს საქმე ახლა აღარ დაჩუმდება.

„შურო დაწვრილებით შემდგომში მოგწერთ...“

„დროების“ კორესპონდენცია

ხონი, 2 პარიოს. მოგვხსენებთ, რომ ახლა კიდევ დაიწყეს ჩვენში მილიციონერების გამოწვევა; ყოველ სამამასახლისოსა გამოუცხადეს ამაზედ მოწერილობა. ადგილობრივ ხონის პრიატავმა წარსულ თებერვლის 13-ს უბრძანა ჩვენს მამასახლისს, შეეკრიბნა ხალხი, მამასახლისმა გვითხრა, რომ მივსულიყავით კანცელიარიაში; ის კი არ ვიცოდით, თუ რას გამოგვიცხადებდნენ.

შევიკრიბენით, სულ რიცხვით იქნებოდა ექვსასი. უცადეთ თითქმის სამს საათს და არაფერს არ გვეუბნებოდნენ. მხოლოდ უყურებდით დამხიარებულ პირებს: უ. პრისტავს ლ. ლ—რიდეს და მამასახლისს პ. სა—ძეს. შევირობდით და ვამბობდით: ამისთანა შეკრება ხალხისა ბევრი ყოფილა, მაგრამ ვერც გამხიარულებულნი ეს ჩვენი უფროსები არავის შეგვიმჩნევია, დღეს რაღაც ამბავი უნდა იყოს-მეთქი.

ბოლოს გვეღირსა გამოცხადება. ბუშინ მოწერილობა მომივიდაო, თქვა მამასახლისმა, უ. უფხის ნაჩაღნიკისაგანო, რომ მელიციონერები კიდევ საჭირო არისო და გამოიყვანე შენს საზოგადოებაშიო, რიცხვით 14 კაციო, ას კომლზედ ორიო. მსლა მე თქვენ გიცხადებთ, რა არჩიეთ ეს თოთხმეტი კაცი, რომელიც თქვენ გსურთ, მოხეცით მე და უნდა წარვადგინო მუთაისში ხვალვეო.

მაათავა თუ არა ეს სიტყვა მამასახლისმა, ხალხმა რასაკვირველია დაიწყო-

ჯერ ყაყანი, მერე შეუდგა აღმორჩევას. მაგრამ ისრე გავიდა ნაშუადღევის სამი საათი, რომ ვერც ამოვარჩიეთ და ვერც ვერაფერს თავი მოვაბით. ბოლოს ერთი ჩვენგანი წაღვა წინ ცა უთხრა მამასახლისს, რომ ჩვენ ამოვარჩევთ ოთხ ჩვენთაგანს სიმაართლის მქონეს ჩლონებს და ოთხს ნაცვლებს, რომელნიც დანიშნულნი არიან, და ამ საქმეს მივანდობთ ამ რვა კაცს, რომელსაც ესენი აღმორჩევენ, ჩვენც თანხმანი ვიქმნებით და წაიყვანეთ მელიციონერებად, თორე ჩვენ აგრე ვერას აღმოვარჩევთ. ეს სიტყვა მოეწონა ყველას და მოვიყვანეთ მაშინვე სისრულეში.

მთი საათის შემდეგ ამათ გამოგვიცხადეს ამორჩეულების სია. პრისტავს და მამასახლისს უთქვამს ამ აღმორჩეულ კაცებისთვის დანიშნა შვიდი მდიდრისა და შვიდი ლარბისა. ჩვენ აწვიეთ ეს თოთხმეტი კაცი და თითო მოსახლეზე ათ-ათი შაური მივეციეთ მამასახლისს მაშინვე მილიციონერების დასარიგებლად. იმ დღეს ყველანი თავის სახლში გაუშვეს და მეორე დღეს ისევ დაიბარეს.

მაგრამ, ჩვენ რა ვიცოდით, ან ვინ რას შეგვატყობინებდა: თურმე მოწერილობა ყოფილა, ნაცვლად ამ 14 კაცი-სა, შვიდი უნდა წაყვანა, ესე იგი, ას კომლზედ ერთი კაცი. ეს დანარჩენი შვიდი კაცი მეტი ყოფილან. ეს გარემოება სანამ გზაზედ არ დადგენ ჩვენ არ შეგვიტყვია, მაშინაც ჩვენთვისაც არა უთქვამს რა მამასახლისს; მხოლოდ ეთქვა სამილიციო კაცებისათვის: ვინ მომცემთ ორას-ორას მანეთს, დაგაბრუნებთო! რასავირველია, თუკი რამე საშუალება იქნებოდა, ვინ დაზოგავდა?! მდიდრებმა მისცეს ამდენი და ლარბებმა კი ცოტა ნაკლებ და თავი დაიხსნა ამ ნაირათ შვიდმა კაცმა.

ასე რომ ცხრასს მანეთამდის აპკრეს უ. პრისტავმა, მამასახლისმა, ნაცვლებმა და ვერაფრე ამ აღმორჩეულ ოთხმა ჩლონებმა. რაც წაიყვანეს მელიციონერებად იმათზე მეტი მამებს არ დარჩენიათ სახლში და რომელსაც სამი-ოთხი ჰყვანდა, იმათ წილი არ ერგოთ; ერგოთ კი, მაგრამ შეძლება ქონდათ და თავი დაიხსნეს.

ამ წაირად უკანონოთ მოხდა ამ მესამე ჯერაც მელიციონერების გაყვანა...

ეს შემდგომისათვისაც საჭირო იქმნა მელიციონერები, სწორეთ ან უნდა მოგვეცნ სამართლის მქონე ვინმე, ან და ამათ ხელში თუ იქნა, უნდა უყაროთ კენჭი. კენჭი თუ ამოგვივა, იმას მინც არავის დავაბრალებთ. ისიც კი უნდა შევიტყოთ წინდაწინ — რამდენი იქნება საჭირო.

ხანელი.

რუმის აზვები

რუმისთვის მზადება

სტამბოლელი კორრესპონდენტი გახეთის „Times“-ისა იწერება, რომ რუმის სამხედრო მთავრობამ ხელ-ახლად

დაიწყო ვაჭრებთან და მეიჯარაღრებთან პირობის შეკერა, რომ ჯარისათვის სურსათი და თივა დაამზადონ.

ამავე გაზეთში დაბეჭდილია ინდოეთიდან (ძალკუტიდან) მიღებული დებეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ აქაური ინგლისის სამხედრო მთავრობაში დიდ მზადებაში არის ომისთვისაო: ინგლისის ჯარები მეროპაში უნდა გამოიყვანონ, აგროვებენ მილიციონერებსაო; პეშავარს და მდ. ინდს ამაგრებენო და სხვ. შევლა ინდოეთის მთავრებმა გამოუტყნადეს ინგლისის მმართველობასაო, რომ, თუ ომი აფიქცდათ რუსეთთან, ჩვენი ხალხით გამოვალთ და დაგებმარებითო.

ლონდონის ერთს სამხედრო ჟურნალში გამოცხადებულია სია ინგლისის ჯარისა:

„1878 წლის ანგარიშით, ინგლისის მარტო ლიდ-ბრიტანიაში ჰყავს 184,000 კაცი ჰყავს სრულიად დამზადებული ომისათვის და 40,000-მდინაც მილიციის ჯარი. ამას გარდა ინგლისს ჰყავს ინდოეთში 80,000 კაცი ევროპიული ჯარი და 130,000-იც ადგილობრივი, რომელიც აზიაში ბრძოლისათვის ძალიან კარგათ გამოდგება.“

ვენის გაზეთის „Presse“-ის სტამბოლელი კორრესპონდენტი იწერება:

„ოსმალეთს ჰყავს სტამბოლში და იმის ახლო-მახლო ადგილებში 150,000 კარგათ დაიარაღებული და სამხედრო საქმეში გაწვრთნილი ჯარი. ეს გარემოება ძალიან აწუხებს რუსეთს, რადგან ისინი დარწმუნებული არიან, რომ, თუ ვინიცობა რუსეთსა და ინგლისს შუა ბრძოლა ატყდა, ოსმალეთი უეჭველად ინგლისის მხარეს დაიჭერსო.“

პარიტის გაზეთები გვაცნობებენ, რომ უცხო ქვეყნებში მცხოვრებ პესტრიის ქვეშევრდომებს ბრძანება მოსვლიათ, რომ დაბრუნდნენ თავის სამშობლოში, რადგან ჯარში უნდა ჩაირიცხონო.

ამგვარივე ბრძანება მოსვლიათ აგრეთვე უცხო ქვეყნებში მცხოვრებ ინგლისელებსაც.

ზაზ. „Indép. Belge“-ს მოსვლია შემდეგი დებეშა ბერლინიდან:

„დარწმუნებით ამბობენ, რომ საფრანგეთი, ინგლისი და პესტრია დაიჭერენ რუმინიის მხარეს და ყველა ეს სახელმწიფოები ერთად მოსთხოვენ რუსეთსა, რომ შესარაბია არ ჩამოაცალოს იმან რუმინიას.“

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამა 29 მარტს სტამბოლიდან მიღებული:

„მარკიზ სალსბერის კირკულიარი მოვიდა თუ არა აქ, იმ წამსვე შეიკრიბნენ ყველა მანისტრები და ხანგრძლივი მოლაპარაკება იყო ახლანდელს ოსმა-

ლეთის მდგომარეობაზედ. ეს კრებაზედ ცხადათ აღმოჩნდა, რომ მომეტებული ნაწილი მინისტრები ინგლისს მხარეს ანი ყოფილან; ესენი ყოველს ლონის ძიებას იხმარებენ, რომ თუ რუსეთსა და ინგლისს შუა ბრძოლა ატყდა, ინგლისს მიემხრონ და ამნარად ისევ დაიბრუნონ ის, რაც სან-სტეფანოს პირობით ძალაუწებურად დაუთმეს რუსეთს.“

ოსტრეტიად გვეწერენ:

„ამ დღეებში ჩვენი რაონის ატრიალის უფროსი ლენ. აკლობჟიო იყო ბათუმში, როგორც ამბობენ, იმ განზრახვით, რომ მოსთხოვოს იმას ბათუმის დაცლა ოსმალთს ჯარებისაგან და დათმობა. ამბობენ, ლერვიშ-ფაფამ დიდის პატივით მიიღო ლენ. აკლობჟიო, მაგრამ რაც შეეხება ოახის-ძირისა და ბათუმის დათმობას, ამაზე უთხრაო, რომ ამის შესახებ მე ჯერ არავითარი მოწერილობა არ მიმიღია სტამბოლიდან ჩემის მთავრობისაგანაო და სანამ არ მივიღებ, მანამ ვერ დაგიტომბოთ.“

ლენ. კომაროვი დაინიშნა 39 დივიზიის უფროსად და ამ დღეებში მიდის ახალციხეს.

უცხო ქვეყნები

საზარანგეთი

საფრანგეთი ისე გულ-გრილად არ შესჩერებია ამ აღმოსავლეთის საქმეების თაობაზე ატენილს საზოგადო განხეთქილებას, როგორც ერთის შეხედვით ეგონება კაცს.

მთი ისეთი ასაღელვებელი საგანი აქვს საფრანგეთს, რომელიც ყოველთვის გამოაცქეტიანებს ხოლომე, ყურებს როდესაც მეროპაში რაიმე აყალ-მაყალი ჩამოვარდება და თოფას-წამლის სუნნი აღინდება.

ეს საგანი არის აღზას-ლოტარინგია — ორი ჩინებული, მდიდარი და საყვარელი პროვინცია, რომელიც ბერმანიაში წაართვა იმას და რომლის დაუბრუნებლად ის თავის დღეში ვერ მოისვენებს.

ახლაც საფრანგეთი ორივე თვალით შესჩერებია რუსეთსა და ინგლისს შუა განხეთქილების ატეხას. მოუთმენელად მოვლის, როდეს იქნება ამ ორ სახელმწიფოს შუა ომი ატყდესო; რადგან იმედი აქვს, რომ ამ ომში ჯერ პესტრია ჩაერევა, მერე ბერმანია და შემდეგ ჩვენი რიგიც მოვაო.

რალა თქმა უნდა, რომ საფრანგეთი ამ საზოგადო შეტაკებაში ინგლისისა და პესტრიის მხარეს დაიჭერს, თუ კი რუსეთს ბერმანია გამოესარჩლა.

ბელგიური გაზეთის „Indép. Belge“-ის სიტყვით, საფრანგეთს ერთი მილიონი და ასი ათასი კაცი ჰყავს ამ ქამად კარგათ დაიარაღებული, გაწვრთნილი და სამი თვის განმავლობაში მთელი ამ ჯარის ბრძოლის ველზე გამოყვანა შეუძლიანო.

ამ წიარს საფრანგეთს იმედი აქვს, რომ, თუ ბერმანია გავრია ბრძოლაში, მაშინ ისიც მოჰქიდებს ხრამს ნელსა და, რასაკვირველია, პირ-და-პირ თავის დაკარგულ შეიღებს—ალზას-ლოტარინგიას მიადგება; და ბერმანია იძულებული იქნება, ან ნებით დაუბრუნოს იმას ეს წართმეული ორი პროვინცია და ან ბრძოლის შემდეგ.

აი ეს აღვლევს ახლა საფრანგეთს..

განსხადებანი

პირველი სანიტარული აბრიადის უფროსისაგან

პირველი სანიტარული აბრიადის უფროსი ამით უცხადებს თავის უბნის (ქალაქის I განყოფილების 1-სა და 3 უბნის) მცხოვრებლებს, რომ რაც შეიძლება საჩქაროთ აუტრან-ყვავილი თავის უფილებს, რადგან ამ ყვავილი გავრცელებულია ქალაქში.

ყვავილის ატრა შეიძლება ჰაეჭვადის ქუჩაზე, სავიორის ქუჩის პირ-და-პირ, საცა სამშაბათობით, პარასკეობით და კვირარობით დილის 10 საათიდან ყვავილის ასაცრელად არიან მუდამ ექიმები; ამას გარდა სანიტარულ კომიტეტსაც ყვავილის ამცრელი, რომელიც ვალდებულია პირველ-მოთხოვნაზედვე მივიდეს ოჯახებში და აუტრანს ყვაწვილებს ყვავილი.

3-2

ისქიდება ყუთობით საუკეთესო მანჯი (წასახმანი) ფაიტრანების და სხვა პოვოზის ბორბლებსათვის.

თითო ყუთი ღირს 50 კაპიკად.

მსურველს შეუძლიან მიმართოს სარაჯევის ქარვასლაში ბარსევან რატიანთან (3-3)

ახალი წიგნი

„სოლი თუ გინდათ, ან არის!“

ერთ-მომქმედებანი ვლადიმერ მასილი აბაშიძისა

ისყიდება: თფილისში—მართანთვის წიგნის მაღაზიაში.

შუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

(5-5)

ტყავის ქარხანა თფილისში

დამოქმედის ქუჩაზე, ბერძნის საყდრის პირ-და-პირ, სახლის № 22.

პეტევი აქვს აღზობოს იმ პირთ, რომელნიც ტყავით ნაჭრობენ ანუ თავიანთთვის სასყიდლად ეკირებათ, რომ ამ ქარხანაში კმთდება და მუდამ მოიკოვება დამზადებული ყოველგვარი ტყავი წაღებისთვის, უნაბრისა, ქარკაბის და ფაბრიკისა, ჩამხებისა ლანა და სხვ.

ნარდათ (პარტიობით) ყიდვა ყველა ამ საქონლისა შეიძლება ქარხანის კანტონარში, სადაც მსურველს შეუძლიან აგრეთვე რა გვარი ტყავიც უნდა შეუქმეთოს და გაუკეთებენ, წვრილ-წვრილად ამ ქარხანის საქონელი ისყიდება მაღაზიაში, სიონის პირ-და-პირ.

(25-10)

აბრაშუმის პირს თესლი (კერცხი)

იტალიის მოღვმისა, სალი ისყიდება კაჭახისის სამშურნაო საზოგადოების სადგომში (ალექსანდროვის ბაღში, უფ. მირსვის პირ-და-პირ).

ფასი თითო მისხლისა მამხი შაური მართს კაცს 10-15 მისხალზე მეტი არ მიეყიდება.

გამოვიდა და ისყიდება „სოლი ვიტირო, თუ ფული?“

კომედია ალ. თუთაევისა

ისყიდება: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს. ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ ძუზუნაშვილთან, ქარელს—დავით ქეროშაშვილთან, ხაშურისა და ბეჭათუნის უფრეში, სურამს—ზაქარია არუწოვთან, შუთაისს—ნიკოზ მკანეზოვთან და სვ. აგრეთვე სოთში—მლისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, სპეციალურ თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრის ხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, ბორში—სტ. ზომოცვეთან და თვითონ ავტორთან.

თესლები

ბოსტანისა და ყვავილედისა, ახლად მიღებული სამზღვარ გარეთიდან ისყიდება ქვეკასიის სამეურნეო საზოგადოების კამისიონერთან ლარშმსთან, ბოლოვინის პროსპექტზე, სახლის № 11.

შუთაისში

ანტონ ლორთქიფანიძის ზიგლიო თეაჟი ისყიდება:

- 1) დედა მნა, ბოგებაშილისა, ფასი 45
- 2) ანუა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა ბრ. რჩელოვისა ფასი 20 კ.
- 3) სოლი ვიტირო, თუ ფული? კომედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
- 4) გოშხვის ტყარსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
- 5) მეფე ღირი, ღრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

რბ. გზა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ.	მაზანდა	მან. კაპ.	თფილისის სამაჟსრნალო
თფილისი	9 21	5 18			მცი სიტყვა		თფილისი, 6 აპრილს		მრევის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ჭუთაისს, შოთს	1	შვე. თეთ. მანჯისა, ფო.	1 60	აეთამოფებს მიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8-10 მინ.
ბორი	11 58	9 43	2 40	1 33	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2	ჭერი ფუთი	1 40	მ რ შ ა ბ ა თ ს: მინკევიჩი—ხორუ.
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	პეტრობურგს, შარშავას	2	ბაშა მრევისა, ფუთი	7 50	რგი, ლისიცივი—შინაგ. ავამთუ.
სურამი	1 44		4 42	2 46	მსმალეთში, შვეიცარიაში	3	— ამერიკისა, ფუთი	8 50	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: შერმიშვიცი და
შვირილა	5 49		5 81	3 23	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	მაჟენტლი ბაშა ფუთი	10	მარქაროვი—შინაგ. ავამთუფობის
რიონი	6 47		6 75	3 75	ინგლისში	3 75	მატყელი თუშური ფო.	8 20	მამამშვიცი—თვალის.
სამტრედიო	7 41		7 73	4 29	ფოშტა		—თარაქამისა ფო.	4 50	მ თ შ შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი—ში-
აბ-სეხაკი			8 57	4 76	ა) თფილისიდან: სამზღვარ გა-		აბრეშუმი ნუშური სტ.	2	ნაგანი ავამთუფ, შიურარიანი ცე-
შოთი	9 40		9 75	5 42	რეთ, შუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე		ქონი, ფუთი	6 20	ნერიულის.
შოთი	9 13				კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		ქონის ხანთელი ფუთი.	8	ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: შერმიშვიცი—შინა-
აბ-სეხაკი			1 18	66	მსურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—		სტეარინის სამთელი, ფ.	13 40	განი ავამთუფობისათვის.
სამტრედიო	11 16		2 61	14	სამშ. და შაბ. ბ) შუთაისიდან:		ხორცი ძროხისა, ლიტრ.	1 8	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცივი და შა-
რიონი	12 13		3 41	69	თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ		—ცხვრისა, ლიტრა	99	ტუროვი—შინაგ. ავამთუფ. და მინ-
შვირილა	1 18	ლაშე	3 98	2 21	დღე, კვირას გარდა. მსურვეტს—		სპირტი, ვედრო	5 20	კევიჩი—ხორურგ.
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96	ორშ. და პარასკ.		შაქარი, ბროც. ფუთი	8 20	შ ა ბ ა თ ს: შერმიშვიცი და მარქა-
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24	წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.	— ფხენილი ფუთი	6 50	როვი—შინაგანი ავამთუფობის, შიუ-
ბორი	7 5	4 8	7 36	4 9	და სამზღვარ გარეთ:		შავა გრგვალის, გირვ.	70	შიურარიანი—ყურის და ხორურგიულ
მცხეთა	8 50	6 59	9 8 5	4	ლი წიგნის	4	შუთი ქუნჯულისა ფუთ.	12	შიურარიანი—ყურის და ხორურგიულ
თფილისი	9 31	7 56	9 7 5	5 42	დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8	მამამშვიცი, საშუალო ფუთი	8 55	ავამთუფ. და მამამშვიცი—თვლის.